სტუდენტური კონკურსი:

“დაიწყე კარიერა წარმატებით”

მიიღე მონაწილეობა კომპანია “თეგეტა მოტორსის” მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გახდი საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე გუნდის წევრი!

პროექტში მონაწილეობა გაძლევთ საუკეთესო შანსს, გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი, ცოდნა, უნარები და შრომისმოყვარეობა, წარმოადგინოთ ახალი იდეები, გაიაროთ 2 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება “თეგეტა მოტორსში” და, რაც მთავარია, დასაქმდეთ კომპანიის სტრატეგიული განვითარების პროექტებში.

კონკურსის ძირითადი პირობები:

პროექტში მონაწილეობენ შემდეგი სასწავლებლების ბიზნესისა და ავტოსაინჟინრო მიმართულების მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები:

- თავისუფალი უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტში გამარჯვებული სტუდენტები რამდენიმე ეტაპის მიხედვით გამოვლინდებიან:

პირველი ეტაპი გულისხმობს საპროექტო დავალების შესრულებას. ამისთვის, თქვენ უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მოცემული სამი თემიდან და მოამზადოთ ნაშრომი:

- საქართველოს მსუბუქი ავტომობილების ბაზრის ანალიზი;
- ინოვაციური ბიზნეს იდეა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ავტობიზნესის შემდგომ განვითარებას (ავტომობილებისა და ავტოპროდუქტების წარმოება, ვაჭრობა და გაყიდვის შემდგომი მომსახურება და სხვა);
- თანამედროვე მსოფლიო ავტოინდუსტრიაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციები;

თქვენი პროექტი 2012 წლის 8 ივლისამდე უნდა გადმოაგზავნოთ ელ-ფოსტის მისამართზე: career@tegetamotors.ge. წერილს თან უნდა დაურთოთ თქვენი რეზიუმე და სამოტივაციო წერილი.

საუკეთესო პროექტების ავტორებისთვის “თეგეტა მოტორსის” სათაო ოფისში მოეწყობა ღია კარის დღე და შეხვედრა კომპანიის უმაღლეს მენეჯმენტთან, სადაც პროექტის მონაწილეებს მიეცემათ შანსი გაეცნონ კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას და გაიზიარონ მრავალწლიანი წარმატებული განვითარების გამოცდილება.

შემდეგი ეტაპები პროექტების დეტალურ დამუშავებასა და კომპანიის მენეჯმენტთან ინდივიდუალურ გასაუბრებებს დაეთმობა.

ივლისის ბოლოს გაიმართება დაჯილდოვების ცერემონიალი, რომელზეც გამოვლინდებიან გამარჯვებული სტუდენტები. ისინი გაივლიან 2 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში და მიეცემათ შანსი დასაქმდნენ კომპანიის სტრატეგიული განვითარების პროექტებში.

გელოდებით და გისურვებთ წარმატებას!

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველო, თბილისი
დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5
ტელ: +995 32 224 - 444, 226 - 4444
ფაქსი: +995 32 224 - 444, 226 - 4444